შემთხვევის განხილვა
შეფასება
შეფასება
MI & CBT
შესავალი

# სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა

ნინო ნუცუბიძე

ბავშვის განვითარებისა და სოციალური მუშაობის მაგისტრი

მოწვეული ლექტორი

2020

შემთხვევის განხილვა

შეფასება

შეფასება

**MI & CBT**

შესავალი

## მოსალოდნელი შედეგები

- თეორიული ცოდნა
- პრაქტიკული უნარები
- კრიტიკული ანალიზი

## კურსის მიზნები

- ჩარევის დაგეგმვა და განხორციელება
- ინსტრუმენტების ცოდნა და გამოყენება
- სირთულეების ანალიზი
- გადაწყვეეტილების მიღება
- საქმის წარმოება

## დასწრება- აქტიურობა

20 ქულა - 15 ლექცია

- დასწრება - 5 ქულა
- აქტიურობა - 15 ქულა

- სალექციო პერიოდი: [6-13-20-27 მარ.] 1 აპრ. – 24 ივნ. 2020
- დასვენების დღეები: 17 აპრილი, 2020
- ლექციის დღე და დრო: პარასკევი, 18:00

## შუალედური დავალებები

45 ქულა

- ნაშრომი #1 - ქცევითი ინტერვენციები შერჩეულ სამიზნე ჯგუფთან – 15 ქულა [24.04.20]
- ნაშრომი #2 - კოგნიტური ინტერვენციები შერჩეულ სამიზნე ჯგუფთან – 15 ქულა [22.05.20]
- ნაშრომი #3 - მოტივაციური ინტერვიუირება შერჩეულ სამიზნე ჯგუფთან –15 ქულა [19.06.20]

## დასკვნითი პროექტი

35 ქულა - საგამოცდო პერიოდი: 29/06-23/07 2020

- ინტერვიუს ჩანაწერი - 15 ქულა
- პრეზენტაცია - 15 ქულა

# ქცევის შეცვლის მოდელები | კოგნიტურ-ბიჰევიორული მეთოდები (CBT) სოციალური მუშაობაში



CBT ყველაზე ფართოდ ნაკვლევი და გამოყენებადი თერაპიაა;

CBT კლინიკური სოციალური მუშაკების მზარდი რაოდენობა იყენებს პრაქტიკაში;

CBT ეფექტურია ფსიქო-სოციალური სირთულეებთან განმკლავებაში;

CBT თეორია და პრაქტიკა აჩვენებს, რომ პიროვნების ფიქრი არის წამყვანი განმსაზღვრელი მისი ემოციისა და ქცევის ცხოვრების მანძილზე;




CBT წარმოადგენს მოტივაციური ინტერვიუირების მეთოდების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს;

1996 წელს NASW მიიჩნია, რომ პატივისცემა და წახალისება არის ადამიანის მნიშვნელოვანი ღირებულება, რაც სოციალურ მუშაკთათვის საფუძველია ჩართოს დახმარების პროცესში მისი კლიენტი როგორც პარტნიორი.

**თანამედროვე პერიოდში ქცევის შეცვლის ყველაზე წამყვან და ეფექტურ მიდგომად ითვლება მოტივაციური ინტერვიურების მოდელი (Fisher and Fisher, 1992), ტრანსთეორიული მოდელი (Prochaska and DiClemente, 1984), ჯანმრთელობის რწმენის მოდელი (Rosenstock et al., 1994).**

სოციალური მუშაობაში ქცევის შეცვლის ინტერვენციები ფოკუსირებულია გაზარდოს უნარები და შეამციროს ბარიერები. ტრადიციულად, სადაც ქცევის შეცვლის ჩარევები ფოკუსირებულია გაიზარდოს ფუნქციონალური უნარები და შემცირდეს სირთულეები, პრაქტიკოსები მიუთითებს კლიენტს რა გააკეთოს და როგორ გააკეთოს ეს? თუმცა, ზევრი კვლევა მიუთითებს ასეთი მიდგომების არაეფექტურობაზე.

მილერმა Miller and Rollnick და როლნიკმა (2002) განსაზღვრეს მოტივაციური ინტერვიუირება, როგორც კლინეტზე ცენტრირებული, სადაც კლიენტი არის ექსპერტი (მან ყველაზე კარგად იცის რა სჭირდება მას), ხოლო პრაქტიკოსი მხარდამჭერი (ეხმარება კლიენტს მიაღწიოს მიზანს).

# ქცევის შეცვლის მოდელები | მოტივაციური ინტერვიუირება (MI) სოციალური მუშაობისთვის

მოტივაციური ინტევიუირება არის ქცევის შეცვლის ალტერნატიული მოდელი და მას საფუძვლად უდევს ტრანსთეორიული მოდელი (Prochaska and DiClemente, 1982), რომელიც გულისხმობს ქცევის შეცვლის პროცესის სხვადასხვა ეტაპებს:



## ქცევის შეცვლის მოდელები | MI VS CBT

| CBT | MI |
|---|---|
| კლიენტის პრობლემაზე ფოკუსირებული | კლიენტის გაძლიერებაზე ფოკუსირებული |
| ექსპერტი მართავს პროცესს (ასწავლის ცეკვას) | ექსპერტი ეხმარება პროცესის მართვაში (ცეკვავენ წყვილში) |
| როგორ? | რატომ? |
| ფიქრები-ემოციები-ქცევები | ფასეულობები-დისონანსირება-ქცევა |
| ემპათიურ დირექტიული | ემპათიურ თანამშრომლობითი |

# CBT | ქცევის შეფასება და მიზნის ფორმულირება




**სოციალური მუშაკის მიზანი:** კლიენტმა გააცნობიეროს სირთულეები

- მიზეზები
- შედეგები

**სოციალური მუშაკის ამოცანა:**

## ინფორმაციის შეგროვება

- ინტერვიუირება
  - ემპათიური მოსმენა
  - რაპორტის დამყარება
  - რეფლექსია
- გამოკითხვა
  - სტანდარტიზირებული კითხვარები
  - სარწმუნო და სანდო ინსტრუმენტები
  - განმარტებები და შედეგების შეფასება
  - შედეგების ხელახალი შეფასება




სოციალური მუშაკის მიზანია დაეხმაროს კლიენტს

- გაიაზროს და გააცნობიეროს სირთულეები
  - **მიზეზები** | რა იწვევს მის ქცევას?
    - **შედეგები** | რა მოყვება მის ქცევას

სოციალური მუშაკის მიერ დასმული კითხვები:

- **კლიენტთან იწყებს კეთილგანწყობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას**
  - **კლიენტს უჩენს სურვილს გაუზიაროს ინფორმაცია**
    - **კლიენტს უღვივებს საფუძველს დაისწავლოს ახალი ქცევა**




# სოციალური მუშაკის მიზანია დაეხმაროს კლიენტს

## ისაუბროს კონკრეტულ ქცევაზე, ემოციასა და ფიქრებზე

**კლიენტი** | ჩვენ ყოველთვის ვკამათობთ?

**სოც. მუშაკი** | უკეთ რომ შევძლო თქვენი გაგება, მოყევით უფრო დეტალურად რა ხდება ამ დროს?

- რას აკეთებთ, როცა ეს ქცევა ხდება?
- რა დროს კამათობთ?
- სად კამათობთ?
- რამდენ ხანს გრძელდება ხოლმე ეს ქცევა?
- რა რეაქცია აქვს თქვენს სხეულს ამ დროს?
- თქვენს ირგვლივ ხალხი როგორ რეაგირებს როცა კამათობთ?






სოციალური მუშაკის მიზანია დაეხმაროს კლიენტს:

- **შეაფასოს კონკრეტული და სპეციფიური ქცევა, ემოცია და ფიქრები**
- სოც. მუშაკი გაზომვითი ინსტრუმენტების გამოყენებისას მიმართავს შემდეგ ეტაპებს:
  - **ინსტრუმენტის შერჩევა** | მომსახურების და კლიენტის საჭიროების შესაბამისად
  - **რაციონალის უზრუნველყოფა** | ინსტრუმენტის ვალიდურობით
  - **ინსტრუმენტის შევსება** | ახსნა-განმარტებითი ინსტრუქციით
  - **შედეგების შეფასება** | კლიენტის თვალწინ ქულების შეჯამება და შედეგების ანალიზი
  - **განმეორებითი შეფასება** | იგივე ინსტრუმენტის რამდენჯერმე გამოყენება დინამიკაში




## ქცევითი მანიფესტაციის ანალიზის შედეგად გაიაზროს

**მიზეზები** | წინაპირობა/განმაპირობებელი /ტრიგერები:

- რა განაპირობებს ქცევის დაწყებას?
- ადამიანები პრობლემურ ქცევას ხშირად აღიქვამენ, როგორც მოულოდნელს
- თუმცა ყველა პრობლემურ ქცევას, როგორც წესი, უსწრებს მოვლენათა ჯაჭვი
- თუ კლიენტი ამ ჯაჭვს გააცნობიერებს, შეცვლის შესაძლებლობა მეტია

**სოც. მუშაკი**| საიდან დაიწყო ეს ჩხუბი?

**კლიენტი**| არ ვიცი, უცებ ავფეთქდი.

**სოც. მუშაკი**| რა უძღოდა წინ ამ ქცევას?

**კლიენტი**|უცებ ჩემი თავი დავიჭირე როგორ ვუყვიროდი ცოლს.




ქცევითი მანიფესტაციის ანალიზის შედეგად გაიაზროს

**მიზეზები** | განმაპირობებელი მოვლენების შეფასების სქემა 1-დან 10-მდე

1 . . 2 . . 3 . . 4 . . 5 . . 6 . . 7 . . 8 . . 9 . . 10

**სოც. მუშაკი** | დაალაგეთ სიმწვავის მიხედვით 1-დან 10-მდე რამ განაპირობა თქვენი ეს ქცევა

**კლიენტი** |
1. ძალიან დაღლილი ვიყავი, რადგანაც წინა ღამეს ბავშვებმა გვიან დაიძინეს.
2. გამაგიჟეს ბავშვებმა, რადგანაც მაწვალებდნენ ჩაცმაზე.
3. იმის გამო, რომ ყურად არ იღეს ჩემი შენიშვნები, დაგვაგვიანდა ექიმთან.
4. რომ არ წამომერტყა, ისევ დააგვიანდებოდათ.
5. კლინიკაში ისე იქცეოდნენ ბავშვები, რომ სირცხვილით ოფლი მასხავდა. წარმომიდგენია რას იფიქრედნენ ჩემზე.
6. მთელი გზა მათმა ჩხუბმა დამქანცა.
7. ის იყო მეგობარს დავურეკე სულის მოსათქმელად, რომ ბავშვებმა დაუწყეს ერთმანეთს რტყმა.
10. ავიღე ქამარი და დავიწყე მათი ცემა

შემთხვევის განხილვა

შეფასება
შეფასება
MI & CBT
შესავალი

შემთხვევის განხილვა

# CBT | ქცევის შეფასება და მიზნის ფორმულირება | ინტერვიუირება




| სფერო | განმაპირობებელი - ტრიგერი | შედეგი |
|---|---|---|
| სოციალური | ვისთან ატარებს კლიენტი უმეტეს დროს?<br>აქვს თუ არა ურთიერთობა ადამიანებთან, რომელთაც არ აქვთ პრობლემა?<br>ცხოვრობს თუ არა კლიენტი ვინმესთან, ვინც ჩართულია პრობლემაში? | როგორ შეიცვალა კლიენტის სოციალური გარემოცვა მას შემდეგ, რაც პრობლემა დაიწყო ან გამწვავდა?<br>რა ზეგავლენა იქონია პრობლემამ მის ურთიერთობებზე? |
| გარემო | რა კონკრეტული გარემო ფაქტორები იწვევს ქცევას?<br>რამდენად ხშირად ხვდება ისინი კლიენტს?<br>შესაძლებელია მათი თავიდან აცილება? | რა ადგილები ან ადამიანები ზარალდება პრობლემის შედეგად?<br>შეიცვაალა თუ არა კლიენტის გარემო პრობლემის შედეგად? |
| ემოციური | რა გრძნობები უსწრებს წინ პრობლემას? | როგორ გრძნობს კლიენტი შემდეგ?<br>რას გრძნობს კლიენტი საკუთარი თავის შესახებ შემდეგ? |
| კოგნიტური | რა ფიქრები აქვს კლიენტს?<br>რა რწმენები აქვს კლიენტს პრობლემის შესახებ? | რას ფიქრობს კლიენტი შემდეგ?<br>რას ეუბნება კლიენტი საკუთარ თავს? |
| ფიზიკური | რა დისკომფორტული ფიზიკური მდგომარეობა უსწრებს პრობლემას? | როგორ გრძნობს კლიენტი თავს შემდგომ?<br>როგორია კლიენტის ფიზიკური ჯანმრთელობა პრობლემის შედეგად? |

შეფასება
შეფასება
MI & CBT
შესავალი

# შემთხვევის განხილვა

იმსჯელეთ ამ შემთხვევის მაგალითზე დედის ქცევის განმაპირობებელ მიზეზებზე ჩამოთვლილი სფეროების მიხედვით:

- სოციალური
- გარემო
- ემოციური
- კოგნიტური
- ფიზიკური


"სამი თვის შვილს თავში და სახეში ურტყამს" – შემზარავი კადრები ქუთაისის ინფექციური სავადმყოფოდან

08/03/2020 6003

SHARE Facebook Twitter

სოციალურ ქსელში შემზარავი კადრები გავრცელდა სადაც ჩანს დედა, რომელიც სამი თვის შვილზე ფიზიკურად ძალადობს.

შემთხვევის განხილვა

შეფასება

შეფასება

MI & CBT

შესავალი

# კითხვები

## შეჯამება

დავალება:

- პრაქტიკიდან შეარჩიეთ ერთი შემთხვევა
- აღწერეთ შემთხვევა
- დაწერეთ თქვენსა და კლიენტს შორის დიალოგი ინფორმაციის შეგროვების  მიზნით